JEL Classification: Q0, Q1, O2. https://doi.org/10.35945/gb.2022.13.018

THE IMPACT OF COVID -19 ON GEORGIA'S AGRICULTURE

NINO DAMENIA

Doctor of Business Management, Professor

St. Andrew the First-Called Georgian University of the Patriarchate of Georgia,

Associate Professor, Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Georgia

nino.damenia@tsu.ge

Abstract. COVID 19 has become a global problem affecting all countries of the world. The pandemic covered all areas: medicine, economics, tourism, culture, etc., including agriculture. Closing markets, banning transport, and various economic restrictions have effectively hampered agricultural workers. The field of agriculture is important for Georgia because many people are employed in this sector and the well-being of many families is directly related to the development of this field. Added to this is the fact that agriculture is a kind of tradition and culture for Georgia, which has been followed by the nation for many centuries and which is bloodied with the Georgian identity. Therefore, the impact of COVID 19 in this area is especially important for Georgia. In the context of the global pandemic, various problems and challenges have been identified in all areas, including agriculture. Along with a number of negative aspects, such as economic instability, problems in export-import of products, etc., which negatively affect the development of agriculture, there are also positive circumstances: the ability to control quality, focus more on food safety, accelerating digitization and popularization, popularization, and popularization.

KEYWORDS: COVID-19 PANDEMIC, AGRICULTURE, FOOD SAFETY.

For citation: Damenia, N. (2022). Impact of Covid-19 on Georgia's Agriculture. *Globalization and Business.* 13, 123-127. (In Georgian). https://doi.org/10.35945/gb.2022.13.018

JEL Classification: Q0, Q1, O2. https://doi.org/10.35945/gb.2022.13.018

COVID-19-ის გავლენა საქართველოს სოფლის მეურნეობაზე

ნინო დამენია

ბიზნესის მართვის დოქტორი, პროფესორი

საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, საქართველო
nino.damenia@tsu.ge

საკვანძო სიტყვები: COVID-19-ის პანდემია, სოფლის მეუნეობა, სურსათის უვნებლობა.

ციტირებისთვის: დამენია, ნ. (2022). COVID-19-ის გავლენა საქართველოს სოფლის მეურნეობაზე. *გლობალიზაცია და ბიზნესი.* 13, 123-127. https://doi.org/10.35945/gb.2021.12.018

COVID-19 იქცა გლობალურ პრობლემად, რომელიც შეეხო მსოფლიოს ყველა ქვეყანას. პანდემიამ მოიცვა ყველა სფერო: მედიცინა, ეკონომიკა, ტურიზმი, კულტურა და ა.შ, მათ შორის სოფლის მეურნეობაც.

ბაზრების ჩაკეტვამ, ტრანსპორტის აკრძალვამ და სხვადასხვა ეკონომიკურმა შეზღუდვებმა სოფლის მეურნეობაში დასაქმებულებს ფაქტიურად ხელ-ფეხი შეუკრა.

სოფლის მეურნეობის სფერო მნიშვნელოვანია საქართველოსთვის, რადგან ამ სექტორში ბევრი ადამიანია დასაქმებული და უამრავი ოჯახის კეთილდღეობა ამ სფეროს განვითარებასთან პირდაპირაა დაკავშირებული. ამას ემატება ისიც, რომ სოფლის მეურნეობა საქართველოსთვის ერთგვარი ტრადიცია და კულტურაა, რომელიც ერს უკვე მრავალი საუკუნეა მოსდევს და რომელიც ქართულ იდენტობასთანაა შესისხლხორცებული. აქედან გამომდინარე საქართველოსთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია COVID-19-ის გავლენა აღნიშნულ სფეროზე.

საქართველოს სოფლის მეურნეობის სექტორში ქვეყნის მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილია ჩართული. სექტორში დასაქმებულთა დიდ ნაწილს ფერმერები წარმოადგენენ, რომლებსაც ხშირად უწევთ ისეთ რისკებთან გამკლავება, როგორიცაა ფასების ცვალებადობა, ინფლაცია, გაუმართავი ინფრასტრუქტურა, კლიმატის ცვლილება თუ შეზუდული ფინანსური რესურსები. COVID-19 დამატებითი გამოწვევაა ამ სექტორში დასაქმებულთათვის. თუმცა COVID19-ის გავლენის სიმწვავე დიდწილად არის დამოკიდებული იმაზე, თუ როგორი იქნება მასზე რეაგირების პოლიტიკა როგორც მოკლე, ისე გრძელვადიან პერიოდში.

პანდემიამ არაერთი ეკონომიკური საქმიანობა შეაფერხა, თუმცა სოფლის მეურნეობა და მასთან დაკავშირებული დარგობრივი საქმიანობები მთავრობას არ შეუზღუდავს. 2020 წლის მარტში საქართველოს მთავრობამ წარმოადგინა სოფლის მეურნეობის ანტიკრიზისული გეგმა, რომელშიც წარმოდგენილი იყო სოფლის მეურნეობის სექტორზე პანდემიის გავლენის შემცირების მექანიზმები. მთავრობამ სექტორს ორი სახის მხარდაჭერა შესთავაზა: პირდაპირი და სექტორული. პირდაპირი დახმარება მიზნად ისახავდა ფერმერთა წინაშე არსებული მოკლევადიანი გამოწვევების მოგვარებას. სექტორული მხარდაჭერა კი, რომელიც გრძელვადიან სტრატეგიად შეიძლება მივიჩნიოთ, ძველი პროგრამების გაგრძელებაა, მიზანი კი სექტორში არსებული ძირეული პრობლემების გადაჭრაა. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ სექტორში ჯერ კიდევ უამრავი სისტემური პრობლემაა გადასაჭრელი (ISET Economist ..., 2021).

კორონავირუსით გამოწვეული შოკის ფონზე საქართველოს სოფლის მეურნეობის სექტორი სერიოზული გამოწვევების წინაშე აღმოჩნდა, განსაკუთრებით იმ პროდუქტებზე, რომლებიც შიდა მოთხოვნას, მათ შორის, ტურიზმის სექტორის მოთხოვნას აკმაყოფილებდა. მნიშვნელოვნად შემცირდა ბანკების მიერ სესხების გაცემა. ქვეყანაში დაწესებულმა შეზღუდვებმა, მათ შორის ტრანსპორტით გადადგილების შეზღუდვამ, წარმოქმნა წარმოებული პროდუქტის რეალიზაციის პრობლემა. აგრობიზნესის წარმომადგენლებისთვის პროდუქტების გაყიდვა გაართულა სასტუმროებისა და კაფე-რესტორნების დახურვამ. ერთერთ დიდ პრობლემას წარმოადგენს ასევე აგროსაშუალებებზე ხელმიუწვდომლობა. შხამქიმიკატების უმეტესობა იმპორტირებულია, არსებული შეზღუდვების ფონზე მათი შემოტანა გაძნელდა და ამავე დროს გაიზარდა მათი ფასი, რაც ძირითადად განაპირობა ეროვნული ვალუტის გაუფასურებამ (დათუნაშვილი, 2021).

სოფლის მეურნეობის ანტიკრიზისული გეგმა ქვეყანაში 2020 წლის 20 მაისიდან ამოქმედდა და დახმარების ბიუჯეტი 300 მილიონი ლარია. ახალი სახელმწიფო პროგრამა „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მესაკუთრეთა სტიმუ-

ლირება“ ითვალისწინებს სასოფლო-სამეურნეო საქონლისა და ხვნის მომსახურების ღირებულების სუბსიდირებას. სუბსიდიის მოცულობა 1 ჰექტარ მიწაზე განისაზღვრა 200 ლარით (აგრობარათზე დარიცხული 200 ქულით), ხოლი 0.25 ჰა-დან 1.25 ჰა-მდე მიწის ნაკვეთის მესაკუთრისათვის: სასუქებისა და მცენარეთა დაცვის ქიმიური/ბიოლოგიური საშუალებების, მცენარეთა მოვლის ქიმიური/ბიოლოგიური საშუალებების და სათესლე და სარგავი მასალების შესაძენად დარიცხული ქულების მიხედვით.

პროგრამით ისარგებლებს 200 000-მდე ფერმერი. მისი ბიუჯეტი 37 000 000 ლარია და პროგრამის განხორციელება დაიწყო 2020 წლის 20 მაისიდან.

საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში რეგისტრირებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 0,25-დან 100 ჰექტარი ფართობის მიწის ნაკვეთის მესაკუთრე ფიზიკური და იურიდიული პირები, ახალი სახელმწიფო პროექტის ფარგლებში, დიზელის საწვავს შეღავათიან ფასად იყიდიან. საწვავის ლიმიტი 1 ჰექტარზე 150 ლიტრის ოდენობით განისაზღვრა.

პროგრამის მიზანია ხელი შეუწყოს პირველადი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების ზრდას, რაც, თავის მხრივ, სასურსათო უზრუნველყოფასა და პროდუქციის თვითღირებულებაზე დადებითად აისახება.

დაიწყო 2012-2019 წწ. წარმოქმნილი დავალიანების ჩამოწერა ყველა იმ ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე, ვინც ისარგებლა შპს „საქართველოს მელიორაციის“ შემდეგი სერვისებით: ირიგაცია, დრენაჟი, მობილური ტუმბოაგრეგატებით წყლის მიწოდება, სატბორე მეურნეობების წყლით უზრუნველყოფა. აგრეთვე იმათზეც, რომლებსაც ვალდებულება წარმოეშვათ შპს „საქართველოს მელიორაციის“ წინაშე წყლის დატაცების შედეგად. პროგრამის მიხედვით, 42 ათასზე მეტი ფერმერი სამელიორაციო მომსახურების საფასურისგან უნდა გათავისუფლდეს, რაც 1 ჰექტარზე 75 ლარამდე გადასახადს გულისხმობს და ჯამში 5 მილიონ ლარს შეადგენს.

რაც შეეხება შეღავათიან აგროკრედიტს, სესხები გაიცემა 5 000 ლარიდან 100 000 ლარის ჩათვლით, ხოლო სახელმწიფო მოახდენს 6 თვის საპროცენტო განაკვეთის სრულად დაფინანსებას უზრუნველყოფილი სესხების შემთხვევაში, ხოლო არაუზრუნველყოფილი სესხების შემთხვევაში – წლიური 17%-ის მოცულობით. პროგრამის ფარგლებში ფერმერებზე გაცემული სესხების ჯამური სავარაუდო მოცულობა იქნება 50 000 000 ლარი. წლიური პროცენტის თანადაფინანსების საბიუჯეტო თანხა შეადგენს 4 500 000 ლარს. პროგრამით სარგებლობის შესაძლებლობა 5 000 პოტენციურ ბენეფიციარს აქვს. „შეღავათიანი აგროკრედიტის“ ძირითადი საშუალებების კომპონენტში იზრდება თანადაფინანსების პროცენტი. არსებული წლიური 8%-ის ნაცვლად სახელმწიფო ფერმერს 48 თვის განმავლობაში დაუფინანსებს 11%-ს. იზრდება ლიზინგის თანადაფინანსების პროცენტიც, ნაცვლად არსებული 9%-ისა 12 %. ძირითადი საშუალებების კომპონენტში და მის ყველა ქვეკომპონენტში იზრდება ბანკებისთვის დაწესებული პროცენტის ზედა ზღვარი, ნაცვლად 15%-ისა 18%. ძირითადი საშუალებების კომპონენტს და ლიზინგს ემატება ყურძნის გადამმუშავებელი საწარმოების და მაკარონის ნაწარმის წარმოების დაფინანსება.

პროგრამის ფარგლებში ფერმერებზე გაცემული სესხების ჯამური სავარაუდო მოცულობა იქნება 25 000 000 ლარი. წლიური პროცენტის თანადაფინანსების საბიუჯეტო ჯამური თანხა 4 000 000 ლარი (2 წლის განმავლობაში).

პროექტს ასევე დაემატა ახალი ქვეკომპონენტი სასურსათო მრეწველობის დაფინანსებისთვის.

ქვეკომპონენტის ფარგლებში სესხი გაიცემა 1 500 001 ლარიდან 5 000 000 ლარის ჩათვლით, რომლის საპროცენტო განაკვეთის თანადაფინანსებას სააგენტო მოახდენს წლიური 10 %-ის მოცულობით 24 თვის განმავლობაში. არსებულ მიზნობრიობებს ემატება ყურძნის გადამმუშავებელი საწარმოების, პურისა და პურპროდუქტების წარმოების და მაკარონის ნაწარმის წარმოების დაფინანსება. პროექტს ემატება აგროლიზინგის კომპონენტის ქვეკომპონენტი სასურსათო მრეწველობის დაფინანსებისათვის, სადაც სახელმწიფო თანადაფინანსებაა 12% 24 თვის განმავლობაში. პროგრამის ფარგლებში,

ფერმერებზე გაცემული სესხების ჯამური სავარაუდო მოცულობა იქნება 20 000 000 ლარი. 500 000 ლარის ბიუჯეტის ოდენობით ანაზღაურდება მეორადი უზრუნველყოფის ფარგლებში.

მნიშვნელოვანია აგროწარმოების ხელშეწყობის პროგრამა, პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო თანადაფინანსების მოცულობა ჯამურად ერთ ბენეფიციარზე შეადგენს

50%-ს, მაგრამ არაუმეტეს 50 000 ლარისა. ხოლო სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისთვის მაქსიმალური თანადაფინანსების ოდენობა შეადგენს 500 000 ლარს. პროგრამის საბიუჯეტო თანადაფინანსების ჯამური თანხა შეადგენს 10 000 000 ლარს. პროგრამის ფარგლებში სავარაუდოდ დაფინანსდება 200 ტრაქტორი, 80 000 კვ/მ სათბური და 400 ჰა მიწის ფართობზე მოეწყობა სარწყავი სისტემა.

ტექნიკური დახმარების პროგრამა სახელმწიფო პროგრამებით მოსარგებლე ბენეფიციარებისათვის 1 500 000 ლარს შეადგენს. პროგრამის ფარგლებში, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებს დაუფინანსდებათ აღჭურვილობა/დანადგარები, რომლის საშუალებით წარმოებული პროდუქცია ბაზრის მოთხოვნის შესაბამისი სარეალიზაციო ფორმით დამზადდება. სააგენტოს თანადაფინანსება განისაზღვრება არაუმეტეს 70%-ით, მაგრამ არაუმეტეს 10 000 ლარისა. პროგრამა სააგენტოს ბენეფიციარებისათვის ასევე ითვალისწინებს საკონსულტაციო მომსახურებას და ტრენინგებს – საერთაშორისო პრაქტიკისა და გამოცდილების გაზიარებას.

აგროდაზღვევის პროგრამის ფარგლებში, ყველა კულტურაზე, გარდა ვაზისა, სახელმწიფოს მხრიდან თანამონაწილეობა პოლისის ღირებულების 70%-ით, ხოლო ვაზზე, 50%-ით განისაზღვრა.

სადაზღვევო პოლისი ფარავს შემდეგ სადაზღვევო რისკებს: სეტყვა, წყალდიდობა, ქარიშხალი, საშემოდგომო ყინვა.

2020 წელს პროგრამის ფარგლებში ბიუჯეტი შეადგენს 9 მილიონ ლარს. მიმდინარე წელს იგეგმება, 15 000-ზე მეტი სადაზღვევო პოლისი გაცემა და 12 000 ჰა-ზე მეტი სასოფლო-სამეურნეო სავარგულების დაზღვევა.

რაც შეეხება მევენახეობის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამას, მთიან დასახლებებში 95%-იანი თანადაფინანსება არა უმეტეს 500 ათასი ლარის ერთ კოოპერატივზე, საქართველოს დანარჩენ ტერიტორიაზე 90%-იან თანადაფინანსებას არა უმეტეს 500 ათასი ლარის ერთ კოოპერატივზე.

სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების საააგენტოს პროგრამებში გათვალისწინებულია დამატებით 10% - თანადაფინანსება სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისათვის (https://mepa.gov.ge/Ge/Page/AntiCrisisPlan№).

საქართველოს საქსტატის 2020 წლის მონაცემების მიხედვით 2020 წლის პირველ სამ კვარტალში 2019 წელთან შედარებით გვაქვს ზრდის ტენდენცია როგორც რეალური მშპ სოფლის მეურნეობაში ასევე მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის რაოდენობაში და ფრინველთა ეკონომიკური ინდიკატორების მაჩვენებლებში შესაბამის სექტორში.

წარმოების მნიშვნელოვანი განმსაზღვრელი ფაქტორი ინვესტიციებია, რომლის სახარბიელო მდგომარეობაც საქართველოში ნამდვილად არაა, თუმცა აღსანიშნავია, რომ 2017 წელთან შედარებით 2018 წელს აგრარულ სექტორში განხორციელებული ინვესტიციის მოცულობა გაიზარდა 3 მილიონით და 15 მილიონი ლარი შეადგინა. 2016 წლის შემდეგ აგრარულ სექტორში განხორციელებული ინვესტიციები იზრდება. 2018 წელს განხორციელდა 1,2 მლრდ დოლარის პირდაპირი უცხოური ინვესტიცია, აქედან აგრარულ სექტორში განხორციელებულია მხოლოდ 15 მლნ დოლარის ინვესტიცია. 2017 წელთან შედარებით ინვესტიციათა მოცულობა დაახლოებით 4%-ით გაიზარდა. მიუხედავად ამისა აგრარულ სექტორში მობილიზებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მთლიანი რაოდენობის უმნიშვნელო თანხა, რომელიც 2018 წლისთვის 1% შეადგინა (ამირიძე, 2020).

COVID-19-ის საქართველოს სოფლის მეურნეობაზე გავლენის შესაფასებლად საქართველოს ფერმერთა ასოციაციამ კვლევა ჩაატარა. გამოკითხული ფერმერებისა და აგრობიზნესის წარმომადგენელთა 60% თანხმდება იმაზე, რომ ისინი ვერ შეძლებენ პროდუქტების გაყიდვას, რადგან სასტუმრო-კაფე-რესტორნები დაიხურა. ფერმერების ნახევარზე მეტმა განაცხადა, რომ ტრანსპორტის გადაადგილებაზე დაწესებული შეზღუდვების გამო წარმოებული პროდუქტის რეალიზაცია გართულდა. გარდა ამისა, რესპონდენტების 35% ამბობს, რომ ახალი სესხის აღება გაძნელდება (http://geoeconomics.ge/?p=13037).

პანდემიით შექმნილ ვითარებაში სურსათის წარმოებისა და სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მხარდასაჭერად, საქართველოს ევროკავშირმა, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ და გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციამ (FAO) საქართველოში 50 ბენეფიციარისთვის 2.2 მილიონი ლარის ღირებულების სასოფლო-სამეურნეო გრანტი გასცა. ფინანსური მხარდაჭერა ვრცელდება როგორც ბოსტნეულის, მარცვლეულის, კარტოფილის, ხორცისა და რძის პროდუქტების სექტორებზე, ასევე თაფლისა და ღვინის წარმოების მიმართულებით. გრანტები საშუალებას აძლევს ფერმერებს, მწარმოებლებს და მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლებს, ისეთი კაპიტალური ინვესტიციები განახორციელონ, როგორებიცაა ტრაქტორის ან სხვა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შეძენა და სათბურის მოწყობა. დამტკიცებული ინვესტიციების მოცულობა მთლიანობაში 5 მილიონ ლარს აღემატება. „აწარმოე საქართველოს“ პროექტის ფარგლებში სოფლად მცირე გრანტების პროექტების დაფინანსების ბიუჯეტი გაიზრდება 30000 ლარამდე ერთ საგრანტო განაცხადზე.

Covid 19-ს ძალიან დიდი დადებითი გავლენა აქვს გარკვეულ პროცესებში, მაგალითად:

ელექტრონული სისტემების აქტიური გამოყენება სხვადასხვა სფეროს მიმართულებით, მათ შორის სოფლის მეურნეობის კუთხით;

სოფლის მეურნეობა გახდა განსაკუთრებით მიმზიდველი განვითარებად ქვეყნებში. ეკონომიკური რყევების პარალელურად, უმუშევრობის დონის ცვლილებების ფონზე იმატა სოფლის მეურნეობაში დასაქმების წილმა.

აგრეთვე გაიზარდა პროდუქციის უვნებლობის ხარისხი და გამკაცრდა კონტროლი, სწორედ პანდემიით გამოწვეული

ცხრილი 1. ეკონომიკური ინდიკატორები სოფლის მეურნეობაში

	2019 წ.	2020 წ.	% ცვლილება
რეალური მშპ სოფლის მეურნეობაში პირველ სამ კვარტალში (მლნ. ლარი)	2,140	2,205	↑3
მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი პირველ სამ კვარტალში (ათასი სული)	2,861	2,931	↑2.4
ფრინველი პირველ სამ კვარტალში	29,540	34,356	↑16

წყარო: geostat.ge 2020 წ.

შედეგების თავიდან ასაცილებლად ხშირი მონიტორინგი ხარისხობრივი და უსაფრთხო პროდუქციის მიწოდების კუთხით (http://www.fao.org/americas/noticias/ver/es/c/1267028).

მართალია, პანდემიამ სერიოზული პრობლემები შექმნა სოფლის მეურნეობისა და სურსათის სისტემებში, თუმცა აშკარაა, რომ მან არაერთი შესაძლებლობაც მოიტანა, რაც სექტორის ტრანსფორმაციის დაჩქარებასა და მთელი რიგი გამოწვევების წინააღმდეგ სექტორის მდგრადობის გაზრდას შეუწყობს ხელს. ვინაიდან სურსათზე მოთხოვნა მუდმივია და მომხმარებელთა მხარჯველობითი ქცევებიც იცვლება (სულ უფრო მეტი ადამიანი ამზადებს საჭმელს სახლში, რესტორნებსა თუ კაფეებში სიარულის ნაცვლად), სოფლის მეურნეობამ შეიძლება პანდემიით დაზარალებულ ეკონომიკის სხვა სექტორებზე უკეთესი შედეგი აჩვენოს. გარდა ამისა, პოპულარული ხდება მარტივი მებაღეობა და სულ უფრო მეტი ოჯახი ერთვება ისეთ მარტივ ფერმერულ საქმიანობაში, როგორიც ყვავილებისა თუ ბოსტნეულის მოყვანაა. იმისათვის, რომ ყველა ეს შესაძლებლობა რეალობად იქცეს და ზრდა უფრო დიდი იყოს, საჭიროა, არსებული საბაზრო სისტემები გაუმჯობესდეს. არსებულმა კრიზისმა კიდევ ერთხელ დაგვანახა, რომ საჭიროა აგრარული ბაზრების რეფორმა და ციფრული ტექნოლოგიების გამოყენება ფერმერის ბაზართან დასაკავშირებლად, უსაფრთოხების ქსელის შესაქმნელად, სათანადო სამუშაო პირობების შესაქმნელად და სასოფლო-სამეურნეო და სურსათის სისტემების დეცენტრალიზაციისთვის, რათა ისინი კიდევ უფრო მდგრადი გახდეს (https://iset-pi.ge/index.php/ka/iset-economist-blog/entry/covid-19sakartvelos-soplis-meurneobashi-gamotsveva-shesadzlebloba-tu-orive).

პანდემიის პირობებში ქვეყანაში განხორციელდა არაერთი პროექტი. სოფლის მეურნეობის კუთხით, გლეხებს საშუალება მისცა ჩართულიყვნენ სხვადასხვა პროგრამებში და მიეღოთ შესაბამისი დახმარება სახელმწიფოს მხრიდან.

ამრიგად, გლობალური პანდემიის პირობებში გამოიკვეთა სხვადასხვა პრობლემები და გამოწვევები ყველა მიმართულებით, მათ შორის სოფლის მეურნეობაშიც. რიგ უარყოფით ასპექტებთან ერთად, როგორიცაა: ეკონომიკური არასტაბილურობა, პროდუქციის ექსპორტ-იმპორტის პრობლემები და სხვა, რომელიც უარფოფითად აისახება სოფლის მეურნების განვითარებაზე, უნდა აღინიშნოს დადებითი გარემოებებიც: ხარისხის კონტროლის შესაძლებლობა, სურსათის უვნებლობის საკითხებზე მეტი ყურადღების გამახვილება, დიჯიტალიზაციის დაჩქარება და პოპულარიზაცია, სოფლის მეურნეობის სფეროებით დაინტერესება და სხვ.

მნიშვნელოვანია მთავრობის მიდგომა სოფლის მეურნეობის მიმართულებებით შეთავაზებული გრანტების და დახმარების პროგრამების კუთხით. მსოფლიოს ქვეყნებმა ცალსახად გამოხატეს დაინტერესება სოფლის მეურნეობის გაძლიერების კუთხით, რადგან კრიზისის პირობებში არსებული საკვები რესურსების მობილიზება პრიორიტეტს წარმოადგენს ყველა ქვეყნისთვის.

გამოყენებული ლიტერატურა/REFERENCES:

ISET Economist_https://iset-pi.ge/index.php/ka/iseteconomist-blog/entry/covid-19-sakartvelos-soplis-meurneobashi-gamo-tsvevashesadzlebloba-tu-orive;

Datunashvili, L. (2021). Agriculture and economic challenges in a pandemic. http://conferenceconomics.tsu.ge/?mcat=1&cat=nomer&leng=ge

Ministry of Environment Protection and Agriculture of Georgia https://mepa.gov.ge/Ge/Page/AntiCrisisPlan#

Amiridze, M. (2021). Agrarian Policy in Georgia and the Impact of COVID-19 on the Sector. http://geoeconomics.ge/?p=13037

Food and Agriculture Organization. 2020d. FAO alerta sobre el impacto del COVID19 en la alimentación escolar de América Latina y el Caribe (2020). Available in: http://www.fao.org/americas/noticias/ver/es/c/1267028/

https://iset-pi.ge/index.php/ka/iset-economist-blog/entry/covid-19sakartvelos-soplis-meurneobashi-gamotsveva-shesadzlebloba-tu-orive